კოლეჯის მოკლე აღწერილობა

ქობულეთში პროფესიული სასწავლებელი დაარსდა 1964 წელს, როგორც სამშენებლო პროფილის სასწავლებელი. 1976 წელს იგი გადაკეთდა N 90 ტექნიკურ სასწავლებლად, 1985 წლიდან საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად, ხოლო 1995 წლიდან-პროფესიულ ლიცეუმად. 2006 წლიდან განათლების რეფორმის შედეგად მოხდა N 90 პროფესიული ლიცეუმის პროფესიულ ტურიზმის ცენტრად გადაკეთება, რამაც მოითხოვა პედაგოგ-მასწავლებლების გადამზადება ტურიზმის სფეროში. განათლების სამინისტროს ხელშეწყობით დამყარდა კონტაქტები უცხოელ პარტნიორებთან და ცენტრის თანამშრომელთა გადამზადების ინტენსიური პროცესი დაიწყო. მოხდა პროფესიული ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, რის შედეგადაც სასწავლებელს გააჩნია თანამედროვე აღჭურვილობის კლას-ლაბორატორიები და პრაქტიკის ობიექტები. 2012 წელს კოლეჯმა პირველად გაიარა ავტორიზცია ქვეყნის მასშტაბით, ხოლო 2016 წელს რეავტორიზაცია. 2019 წლიდან კოლეჯმა გახსნა ფილიალი დაბა ხულოში. 2015 წელს კოლეჯმა განახორციელა EFQM-ის გზით სრულყოფაზე ორიენტირებულ განვითარებასთან დაკავშირებული განაცხადის წარდგენა და გახდა შესაბამისი სერტიფიკატის მფლობელი. სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა" სთავაზობს საუკეთესო სასწავლო პირობებს როგორც სრული საბაზო, ასევე საშუალო განათლების მქონე პირებს. კოლეჯში ხორციელდება III-IV-V დონის 30 მოდულური (მ. შ. 5 დუალური მიდგომით) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლთა დასრულების შემდეგაც კურსდამთავრებულებს ენიჭებათ შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.